

სს „მეგობრების მარანი“

2018 წლის ფინანსური ანგარიშგება

სს "მეგობრების მარანი"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული I GEL			შენიშვნა
საანგარიშგებო პერიოდი			
	31.12.2018	31.12.2017	
აქტივები			
მიმდინარე აქტივები, სულ	1268717	1481791	
ფულადი სახსრები	57947	169652	3.1
დებიტორული დავალიანება მიწოდებიდან და მომსახურებიდან	239141	369177	3.2
ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები	13445	40891	3.3
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	428	1152	3.4
სასაქონლო-მატერიალური მარაგი	939450	899495	3.5
წინასწარ გადახდილი გადასახადები	18306	1424	
გრძელვადიანი აქტივები, სულ	4344872	4310612	
ძირითადი საშუალებები	3832720	3835942	3.6/3.7
არამატერიალური აქტივები	11135	8845	3.8
გრძელვადიანი ფინანსური აქტივები	501017	465825	3.9
სულ აქტივები:	5613589	5792403	
ვალდებულებები და კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები, სულ	1197634	970572	
ვალდებულებები, წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	172274	141912	3.10
მოკლევადიანი სესხები	0	23040	3.11
საგადასახადო ვალდებულებები	28542	36134	3.12
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	996818	769486	3.13
გრძელვადიანი ვალდებულებები, სულ	2059619	1888327	
გრძელვადიანი სესხები	2059619	1888327	3.14/3.26
სულ კაპიტალი:	2356336	2933504	3.15
საწესდებო (სააქციო) კაპიტალი	8035083	7497957	
დაგროვილი მოგება / დაუფარავი ზარალი	-5678747	-4564453	
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	5613589	5792403	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2019 წ.

დირექტორი

კობა ჯანტურია

თანხლები განმარტებითი ბუღალტრის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი

სს "მეგობრების მარანი"

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	ერთეული 1 GEL	
	საანგარიშგებო პერიოდი	შენიშვნა
	2018	
ამონაგები	411345	
რეალურებული პროდუქციის გაწეული მომსახურების თვითღირებულება	- 323748	
მოგება ან ზარალი რეალიზაციიდან	87597	3.16
სხვა საოპერაციო შემოსავლები	163662	3.17
სულ საოპერაციო შემოსავლები:	251259	
მიწოდების ხარჯები	- 176183	3.18
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	- 1002815	3.19
სხვა საწარმოო დანიშნულების ხარჯები	- 83290	3.20
სულ საოპერაციო ხარჯები:	- 1262288	
ფინანსური შემოსავლები	153057	
დადებითი საკურსო სხვაობები	227728	
სხვა გაუთვალისწინებელი შემოსავლები	1206	
სულ არასაოპერაციო შემოსავლები:	381991	3.21
ფინანსური დანახარჯები	- 169481	
საგადასახადო ჯარიმები და საურავები	- 156	
უარყოფითი საკურსო სხვაობები	- 306418	
სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები	- 9200	
სულ არასაოპერაციო ხარჯები:	- 485255	3.22
მოგება დაზღვევამდე:	- 1114293	
მოგების გადასახადის ხარჯი	0	
სულ საანგარიშგებო პერიოდის მოგება ან ზარალი	- 1114293	3.23
სულ საანგარიშგებო პერიოდის სხვა სრული შემოსავალი:		
სულ საანგარიშგებო პერიოდის სრული შემოსავალი:	- 1114293	
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	2933504	
ახალი აქციების გამოშვება კაპიტალის გაზრდა	537126	
განაწილება შესაკუთრებზე (მათ შორის დივიდენდი)		
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	- 1114293	
კაპიტალის სხვა ცვლილებები		
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს:	2356336	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2019 წ.

დირექტორი

კობა ჭანტუია

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

სს "მეგობრების მარანი"

ფულადი ნაკადების ანგარიშგება
(საოპერაციო საქმიანობიდან ნაკადების წარდგენის პირდაპირი მეთოდით)

ერთეული I GEL	
	საანგარიშგებო პერიოდი
	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:	
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	767823
სხვა შემოსულობანი საოპერაციო საქმიანობიდან	318
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	- 647973
გაცემული შრომის ანაზღაურება	- 287992
გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)	- 228698
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	- 15903
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან	- 412425
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:	
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	- 218091
გრძელვადიანი ინვესტიციების შეძენა	- 11445
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან	- 229536
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:	
შემოსულობანი აქციების ემისიისაგან კაპიტალის ზრდისაგან	502736
საკუთარი აქციების გამოსყიდვა ან გაცემები კაპიტალის შემცირების გამო	- 8327
სესხების აღება	379352
სესხების დაფარვა	- 299923
ფინანსური იჯარის (ლოზინგის) ვალდებულებების დაფარვა	- 27049
გადახდილი პროცენტები	- 96272
სხვა შემოსულობანი / გაცემები საფინანსო საქმიანობიდან (ნეტო)	86610
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან	537127
ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზრდა / კლება (ნეტო)	- 6871
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	- 111705
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:	169652
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:	57947

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2019 წ.

დირექტორი

კობა ჭანტურია

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი

2018 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. სს „მეგობრების მარანი“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს სააქციო საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2009 წლის 7 დეკემბერს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 204576529, იურიდიული მისამართი - საქართველო, ყვარელის რაიონი, სოფელი შილდა. კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. კომპანიის აქციონერები არიან საქართველოს და უცხოეთის მოქალაქე ფიზიკური პირები.

1.3. კომპანიის დირექტორია კობა ჭანტურია (პ/ნ 01012017892).

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა ღვინის წარმოება ყურძნისგან, ასევე - ვენახების გაშენება. კომპანია საანგარიშგებო პერიოდში ეკონომიკურ საქმიანობას ახორციელებდა ლოკაციის 2 ადგილიდან (1 - შილდაში, 1 - თბილისში).

1.5. კომპანიას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.6. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული

კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები ყოველწლიურად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული

დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ფუნქციური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები - 25-40 წელი;

მანქანა-დანადგარები - 8-10 წელი;

კომპიუტერული ტექნიკა - 4 წელი;

ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა - 5 წელი;

სარეკლამო საშუალებები - 5 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები - 10 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-5 წელი.

დ) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 15%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.7. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2017-2018 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6766 ლარი;

1 EUR=3.0701 ლარი.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.5922 ლარი;

1 EUR=3.1044 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

2018 წელს: 1 USD=2.5345 ლარი;

1 EUR=2.9940 ლარი.

2017 წელს: 1 USD=2.5086 ლარი;

1 EUR=2.8596 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
ნაღდი ფული საღაროში	657	100
ლარი საბანკო ანგარიშებზე	7174	1151
აშშ დოლარები საბანკო ანგარიშებზე	50115	168401
სულ:	57947	169652

3.2. სავაჭრო მოთხოვნები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
სავაჭრო მოთხოვნები რეზიდენტი პირების მიმართ	137899	189779
სავაჭრო მოთხოვნები არარეზიდენტი პირების მიმართ	70063	158534
სავაჭრო მოთხოვნები აქციონერი ფიზიკური პირების მიმართ	31179	20864
სულ:	239141	369177

3.3. გადახდილი ავანსები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები	13445	40891
სულ:	13445	40891

31.12.2018 წ. მდგომარეობით არსებული ყველა ავანსი არის რეზიდენტი პირების მიმართ.

3.4. სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირების მიმართ	428	1152
სულ:	428	1152

3.5. მარაგები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
გასაყიდი საქონელი	521	20800
საკუთარი წარმოების ღვინომასალა და სპირტი	510848	467994
მასალები მევენახეობა-მეღვინეობისთვის	134886	130680
მზა პროდუქცია	264330	279512
საწვავ-საცხები მასალები	4975	277
სხვა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	23891	232
სულ:	939450	899495

31.12.2018 წ. მდგომარეობით არსებული სხვა მატერიალური ფასეულობები ძირითადად შედგება ღვინის სასაჩუქრე ყუთებისაგან და საწარმოო დანიშნულების მცირეფასიანი ინვენტარისაგან.

3.6. მიწის ნაკვეთები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა 918.3 კვ.მ. (საკ/კოდი 57.06.63.015)	6508	6508
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა 349.9 კვ.მ. (საკ/კოდი 57.06.63.016)	2480	2480
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა 564.1 კვ.მ. (საკ/კოდი 57.06.63.017)	3998	3998
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა 468.8 კვ.მ. (საკ/კოდი 57.06.63.023)	3323	3323
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა 167.7 კვ.მ. (საკ/კოდი 57.06.63.024)	1189	1189
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა 754.5 კვ.მ. (საკ/კოდი 57.06.63.093)	5347	5347
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა 384.6 კვ.მ. (საკ/კოდი 57.06.63.094)	2726	2726
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა 737.6 კვ.მ. (საკ/კოდი 57.06.63.124)	5228	5228
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა 651.3 კვ.მ. (საკ/კოდი 57.06.63.125)	4616	4616
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა 1058.9 კვ.მ. (საკ/კოდი 57.06.63.256)	7505	7505
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა 23.7 კვ.მ. (საკ/კოდი 57.06.65.010)	168	168
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა 500.6 კვ.მ. (საკ/კოდი 57.06.65.084)	3548	3548
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა 501.5 კვ.მ. (საკ/კოდი 57.06.65.085)	3554	3554
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა 501.1 კვ.მ. (საკ/კოდი 57.06.65.086)	3552	3552
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა 502.7 კვ.მ. (საკ/კოდი 57.06.65.087)	3563	3563
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა 500.1 კვ.მ. (საკ/კოდი 57.06.65.088)	3544	3544
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა 505.1 კვ.მ. (საკ/კოდი 57.06.65.089)	3580	3580
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა 545.1 კვ.მ. (საკ/კოდი 57.07.62.017)	3863	3863
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა 1118.1 კვ.მ. (საკ/კოდი 57.07.62.020)	7924	7924
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა 540.1 კვ.მ. (საკ/კოდი 57.07.62.021)	3828	3828
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა 1032.6 კვ.მ. (საკ/კოდი 57.07.62.022)	7318	7318
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა 1044 კვ.მ. (საკ/კოდი 57.07.62.023)	7399	7399
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა 573.8 კვ.მ. (საკ/კოდი 57.07.62.024)	4067	4067
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა 1101.1 კვ.მ. (საკ/კოდი 57.07.62.026)	7804	7804
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა 521.3 კვ.მ. (საკ/კოდი 57.07.62.028)	3695	3695
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა 590.3 კვ.მ. (საკ/კოდი 57.07.62.029)	4184	4184
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა 689.4 კვ.მ. (საკ/კოდი 57.07.62.030)	4886	4886
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა 500.5 კვ.მ. (საკ/კოდი 57.07.62.031)	3547	3547
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა 576.2 კვ.მ. (საკ/კოდი 57.07.62.032)	4084	4084
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა (საკ/კოდი 57.07.62.306)	13797	13797
სულ:	140825	140825

3.7. ძირითადი საშუალებები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	2018 წელი ზრდა ან შემცირება	2018 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
დაუმთავრებელი მშენებლობა		-27198		27198
დაუდგმელი მოწყობილობა	24574	24574		
დაუმთავრებელი ვენახები	182390	80735		101655
შენობები	2939155	1250	117558	2937905
ნაგებობები	33251	27198	397	6053
ნაყოფის მომცემი კულტურები (ვენახები)	115691		3853	115691
მანქანა-დანადგარები	732461		58725	573127
ძაღოვანი, თბოტექნიკური და ტურბინული მოწყობილობები	135236	159334	11351	135236
ელექტროგადამცემის საშუალებები	29360		2349	29360
სასოფლო-სამეურნეო მანქანები და მოწყობილობები	47696		4770	47696
ოფისის აღჭურვილობა (კომპიუტერული ტექნიკისა და ავეჯის გარდა)	13121	228	2883	12893
კომპიუტერული ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები	14756		3649	14756
ავეჯი	204065	296	40097	203769
ინვენტარი და სპეციალური ინსტრუმენტები	119538	4575	20731	114963
სარეკლამო საშუალებები	1000		500	1000
სატრანსპორტო საშუალებები	32922		6584	32922
მცირეფასიანი ძირითადი საშუალება	11374	1389	2157	9986
სულ:	4636589	272381	275603	4364210

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა შეადგენდა:

2018 წლის ბოლოს - 944695 ლარი;

3.8. არამატერიალური აქტივები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	2018 წელი ზრდა ან შემცირება	2018 წელი დარიცხული ამორტიზაცია	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
სასაკონლო ნიშნები	10768	3728	953	7040
პროგრამული უზრუნველყოფა	3539		708	3539
ლიცენზიები	222	222		
სულ:	14529	3950	1660	10579

არამატერიალური აქტივების ერთიანი დაგროვილი ამორტიზაციის თანხა შეადგენდა:

2018 წლის ბოლოს - 3394 ლარი;

3.9. გრძელვადიანი ფინანსური აქტივები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
იურიდიულ პირზე გაცემული გრძელვადიანი სესხის ძირი	430833	395641
იურიდიულ პირზე გაცემული გრძელვადიან სესხზე დარიცხული პროცენტი	70184	70184
სულ:	501017	465825

იურიდიულ პირზე გაცემული სესხისა და მასზე დარიცხული პროცენტის დაფარვის
ვადაა 2024 წლის 18 სექტემბერი.

3.10. სავაჭრო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
დავალიანება რეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ	150121	108499
დავალიანება არარეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ	22153	33413
სულ:	172274	141912

3.11. მიმდინარე სასესხო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
სალიზინგო ვალდებულებების მიმდინარე ნაწილი		23040
სულ:	0	23040

3.12. საგადასახადო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
მიმდინარე საგადასახადო დავალიანება	28542	36134
სულ:	28542	36134

3.13. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
მიღებული ავანსები	982149	765360
გადასახდელი ხელფასები	10300	4062
გადასახდელი მომსახურების ანაზღაურება არარეგისტრირებული ფიზიკური პირებისათვის	4369	
სულ:	996818	769422

3.14. გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
"თიბისი ბანკი" 1-ლი სესხი (USD)	608511	843523
"თიბისი ბანკი" 2-ე სესხი (USD)	93681	
სულ:	702192	843523

„თიბისი ბანკიდან“ აღებული ყველა სესხი არის აშშ დოლარებში. 2018 წლის ბოლოს გადასახდელი სესხის გამოხატულება აშშ დოლარებში შეადგენს 262345 USD-ს.

3.15. საკუთარი კაპიტალი:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
საწესდებო (სააქციო) კაპიტალი	8035083	7497957
დაუფარავი ზარალი	-5678747	-4564453
სულ:	2356336	2933504

3.16. ნეტო ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

2018 წელს, კომპანიის ნეტო-ამონაგები ძირითადად შედგებოდა ღვინის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებიდან - **374184** ლარი, ხოლო **37161** ლარი მიღებულია სარესტორნო მომსახურებიდან. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება დათვლილია საშუალო შეწონილი ფასების მეთოდის გამოყენებით.

3.17. სხვა საოპერაციო შემოსავალი

2018 წელს, კომპანიის სხვა საოპერაციო შემოსავალი სრულად შედგებოდა მიღებული ყურძნის მოსავალისაგან.

3.18. მიწოდების ხარჯები:

	2018 წელი
რეკლამის ხარჯები	59413
მარკეტინგული ხარჯები	66891
საწყობში შენახვის ხარჯები	17383
მივლინების ხარჯები	32150
საღარიბ აპარატებთან დაკავშირებული ხარჯები	347
სულ:	176183

3.19. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები:

	2018 წელი
ხელფასი და მასთან გათანაბრებული სარგებელი	380342
იჯარის ხარჯები	28445
ქონების გადასახადის და სხვა საგადასახადო ხარჯები	39892
ავტოტრანსპორტის საექსპლუატაციო ხარჯები და რემონტი	6742
საკონსულტაციო და სხვა პროფესიული მომსახურება	46385
საწვავის ხარჯები	33409
ცვეთა და ამორტიზაცია	277263
კომუნალური ხარჯები	29553
საკომუნიკაციო ხარჯები	2617
საბანკო ხარჯები	16583
დაზღვევის ხარჯი	10960
წარმომადგენლობითი ხარჯი	26233
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	104391
სულ:	1002815

სხვა საერთო-ადმინისტრაციული ხარჯები ძირითადად შედგება სამეურნეო და რემონტის ხარჯებისაგან.

3.20. საწარმოო დანიშნულების ხარჯები:

	2018 წელი
საწარმოო დანიშნულების რემონტის ხარჯები	3729
ყურძნის მოვლის ხარჯები	32572
მოსავლის ხარჯები	43061
სხვა ხარჯები	3929
სულ:	83290

3.21. არასაოპერაციო შემოსავლები:

	2018 წელი
დარიცხული საპროცენტო შემოსავალი გაცემული სესხიდან	23747
ფინანსური შემოსავლები (დარიცხული შემოსავალი უპროცენტო სესხების მიღებაზე)	42523
სხვა საპროცენტო შემოსავლები (თანადაფინანსება)	86787
დადებითი საკურსო სხვაობები	227728
სხვა გაუთვალისწინებელი შემოსავლები	1206
სულ:	381991

3.22. არასაოპერაციო ხარჯები:

	2018 წელი
საბანკო საპროცენტო ხარჯები	96205
სხვა ფინანსური ხარჯი (დარიცხული ხარჯი უპროცენტო სესხების გაცემაზე)	60647
სხვა საპროცენტო ხარჯები	12629
უარყოფითი საკურსო სხვაობები	306314
საგადასახადო ჯარიმები და საურავები	156
სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები	9304
სულ:	485255

3.23. საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალი:

კომპანიის აქვს დაუფარავი ზარალი, შესაბამისად 2018 წელს მოგების განაწილება არ მომხდარა და კომპანიას არ ჰქონდა მოგების გადასახადის ხარჯი.

3.24. სასამართლო დავები:

კომპანიას 2018 წლის განმავლობაში სასამართლო დავა ჰქონდა სასაქონლო ნიშნის „ნელქარის“-ს გამოყენებასთან დაკავშირებით.

3.25. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2019 წლის 1 იანვრიდან 30 სექტემბრამდე პერიოდში, კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობაში საყურადღებო მოვლენები არ მომხდარა.

3.26. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

აქციონერთა წინაშე არსებული სასესხო ვალდებულება:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
აქციონერებისაგან აღებული უპროცენტო სესხები აშშ დოლარში	1327389	1044803
აქციონერებისაგან აღებული უპროცენტო სესხები ლარში	30038	
სულ:	1357427	1044803

2018 წლის ბოლოს გადასახდელი სესხის გამოხატულება აშშ დოლარებში შეადგენს 495924 USD-ს.

3.27. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 30 სექტემბერს.